საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA
AVTONOMOUS REPUBLIC OF AJARA. ADMINISTRATION OF SHUAKHEVI MUNICIPALITY

N 07/3882
10/07/2017

3882-07-2-201707101602

www.factcheck.ge-ს რეგიონულ ანალიტიკოსს

ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი, მიმდინარე წლის 04 ივლისის # 3728/07 წერილს პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფურტიოს ბაგა-ბაღის მშენებლობაზე 160 000 ლარი, ხოლო შუბნის ბაგა-ბაღების მშენებლობაზე 130 500 ლარი გამოიყო. რაც შეეხება ბარათაულის ბაგა-ბაღს 2015 წელს გამოიყო 99.999 ლარი რეაბილიტაციაზე.

ფურტიოს ბაგა-ბაღზე #1206 ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 5 ივნისს, უნდა დასრულებულიყო 2015 წლის 5 დეკემბერს. 2015 წლის 23 დეკემბერს გაგრძელდა მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების გადა 2016 წლის 1 ივლისამდე სხვა პირობები დარჩა უცვლელი. 2016 წლის 30 ივნისს კვლავ გაგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა 16 აგვისტომდე.

შუბნის ბაგა-ბაღი #126 ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 11 ივნისს, უნდა დასრულებულიყო 11 ნოემბერს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა ერთხელ - 2015 წლის 28 დეკემბერს 2016 წლის 1 ივლისამდე.

ბარათაულის ბაგა-ბაღზე #131 ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 19 ივნისს. სამუშაოებს ასრულებდა ი.მ. რუფეთ ბოლქვაძე. ხელშეკრულება შეუწყდა 2015 წლის 26 ნოემბერს. გამოცხადდა ახალი ტენდერი 2016 წლის 21 ივლისს, გაფორმდა ხელშეკრულება # 177. სამუშაოები დასრულდა ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით შპს ,,აკველუკი-07“ მიერ, ს/კ 404 387 276.

ფურტიოს ბაგა-ბაღზე სამუშაოებს ასრულებდა შპს ,,ზაზო“. 2015 წელს დაჯარიმდა 1060,2 ლარით, ხოლო 2016 წელს 27741 ლარით.

შუბნის ბაგა-ბაღზე სამუშაოებს ასრულებდა შპს ,,ზაზო“. 2015 წელს დაჯარიმდა 2806 ლარით, ხოლო 2016 წელს 7994,48 ლარით.

ამ ბაგა-ბაღებიდან ბარათაულის ბაგა-ბაღი ექსპლუატაციაში შევიდა 2016 წლის დეკემბერში, ხოლო შუბნისა და ფურტიოს ბაგა-ბაღები გაიხსნება 2017 წლის ახალ სასწავლო წელს.

6300 დაბა შუახევი
თამარ მეფის ქ. №30
ტელ.: 0(424) 26 00 00
ელ. ფოსტა: shuakhevigg@gmail.com

ტარიელ ებრალიძე

გამგებელი

ხელმძღვანელობა